**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის** *ნოდარ პაპუკაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☑ |

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | |
|---|---|---|
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
| სამართლის ნორმების ცოდნა | 22 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 22 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 10 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 5 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 91 | 100 |

**სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო**

**თარიღი :** 29.05.21

**ნოდარ პაპუკაშვილი**

**შეფასების დასაბუთება**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ნოდარ პაპუკაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | | **კომენტარი** |
|---|---|---|
| **მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს** | ☐ | კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიცაა პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია უნდა იქნეს გათვალისწინებული კანდიდატის შესახებ შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაცია რომლის მიხედვით, **პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას სხვა გარემოებებთან ერთად აღსანიშნავია მის შესახებ რეკომენდატორებისა და რესპოდენტების მიერ |
| **მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს** | ☐ | |
| **მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს** | ☒ | |

| | | |
|---|---|---|
| | | მოწოდებული ინფორმაცია რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ და გამოყოფენ მის ისეთ თვისებებს როგორიცაა მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება, სამართლიანობა, პრინციპულობა, მიზანდასახულობა, გაწონასწორებულობა და ა.შ. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს.<br>ფინანსური ვალდებულების შესრულების კუთხით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია.<br>კანდიდატის სახელზე უძრავი ქონება რეგისტრირებული არ არის. მის საკუთრებაშია 2 მსუბუქი ავტომანქანა.<br><br>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. რაც შეეხება პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობას, კანდიდატის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის თანახმად, ნ. პაპუკაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.<br><br>**პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას, უნდა აღინიშნოს რომ კანდიდატი |

| | | |
|---|---|---|
| | | თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. გარშემომყოფთა მიმართ გამოირჩევა თავაზიანი დამოკიდებულებით. ,,თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიდან'' მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნოდარ პაპუკაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოება არ მიმდინარეობს. რაც შეეხება მხარედ მის მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფიდან - სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, კანდიდატი მოპასუხედ მონაწილეობდა ორ სამოქალაქო საქმეში:<br>- დავის საგანი - თანხის დაკისრება.<br>შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე ეთქვა უარი.<br>- დავის საგანი - ზიანის ანაზღაურება.<br>შედეგი - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო.<br><br>საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,, ნოდარ პაპუკაშვილი დაზარალებულად არ ყოფილა ცნობილი.<br><br>**პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას, გაითვალისწინება კანდიდატის საქმიანი და |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მორალური რეპუტაციადა ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი. ნოდარ პაპუკაშვილი 2018 წლიდან არის „ბიზნესის გადახდისუუნარობის მმართველთა ასოციაციის'' დამფუძნებელი/წევრი, ხოლო 2015 წლიდან „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის" წევრი. მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, არის სრული პროფესორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თბილისის ღია უნივერსიტეტში.<br>ამ და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, მიმაჩნია რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი - ნოდარ პაპუკაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. |
| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით** | | | **კომენტარი** |
| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** | |
| **სამართლის ნორმების ცოდნა** | **22** | **25** | **სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს მის მიერ მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების, ასევე ადამიანის უფლებათა სამართლის, მათ შორის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის სათანადო დონე, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა წარმოადგინა სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში გამოქვეყნებული სტატია „მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში". გასაუბრებისას სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხში დაფიქსირდა შეცდომები კონსტიტუციური და სამოქალაქო სამართლის მიმართულებით. |
| **სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია** | 22 | 25 | **სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. კონკურსის ფარგლებში მის მიერ წარდგენილი სტატიის გაანალიზების შედეგად უნდა ითქვას, რომ კანდიდატი საკუთარ პოზიციას ასაბუთებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით შეძლებისდაგვარად გამართულად, გასაუბრებიდან გამომდინარე ახორციელებს სამართლებრივ ნორმათა სწორ განმარტებას. კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიური უნარიც. თუმცა, გასაუბრებისას გარკვეულ სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხზე გამოავლინა დასაბუთების სისუსტე. |
| **წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი** | 18 | 20 | **წერის და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** კანდიდატის შეფასებისას კანდიდატი საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად, აქვს სხვისი აზრის მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | მოსმენის უნარი, არის ღია სიახლეებისა და განსხვავებული აზრის მოსასმენად და მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები და პოზიცია არის ძირითადად ადვილად აღსაქმელი. მის მიერ წერილობით წარმოდგენილ მასალაში არის ხარვეზები ზოგიერთი წინადადების აღქმის კუთხით. |
| **პროფესიული თვისებები** | 14 | 15 | **პროფესიული თვისებების კუთხით** კანდიდატის - ნოდარ პაპუკაშვილის შეფასებისას გასაუბრებიდან და მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის გათვალისწინებით ყურადღება იქნა გამახვილებული მის ისეთ თვისებებზე როგორიცაა: მიუკერძოებლობა, სამართლიანობა, კეთილსინდისიერება, გაწონასწორებულობა. კანდიდატს გააჩნია მენეჯერული უნარ-ჩვევები, არის შრომის მოყვარე და თავდაჯერებული. თუმცა, კანდიდატს არა აქვს საერთო სასამართლოებში მუშაობის გამოცდილება. |
| **აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა** | 10 | 10 | **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ პაპუკაშვილს მინიჭებული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი, არის სრული პროფესორი, უძღვება სალექციო კურსს, მუშაობდა დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტში სამართლის სკოლის მოწვეულ პროფესორად, ასევე შპს ,,გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში'' სამართლის ფაკულტეტის, საჯარო სამართლის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **პროფესიული აქტივობა** | 5 | 5 | **პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა აღნიშნოს, რომ მას აქვს მონაწილეობა მიღებული არაერთ სემინარსა და შეხვედრაში. (ჩამონათვალი იხ. კანდიდატის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში.) ასევე არის არაერთი სამართლებრივი წიგნის თანაავტორი და 14 სამეცნიერო სტატიის ავტორი, კანდიდატს წარმოდგენილი აქვს სამეცნიერო შრომების კრებულში გამოქვეყნებული სტატია -„მთავრობის პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საზღვარგარეთის ქვეყნებში, ზოგადი მიმოხილვა". |
| **ქულათა ჯამი** | 91 | 100 | |

**სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო**

**ხელმოწერა:**

**თარიღი :** 29.05.21